საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კარგარეთელი ვასილ დიმიტრის ძე

კარგარეთელი ვასილ დიმიტრის ძე (29. VII. 1880, სოფ. ერთაწმინდა, ახლანდ. კასპის მუნიციპალიტეტი, - 1938, თეირანი), გენერალ-მაიორი (1920). განათლება მიიღო თბილ. პირველ კლასიკურ გიმნაზიაში. 1899 სამხ. სამსახური დაიწყო იუნკრად მოსკოვის სამხ. სასწავლებელში. 1901-იდან მსახურობდა ლაიბგვარდიაში (სანქტ-პეტერბურგი), შემდეგ – გვარდიული ქვეითების რეზერვში, გორის 259-ე ქვეით პოლკში. 1913 დაამთავრა ნიკოლოზის გენ. შტაბის აკადემია (I თანრიგით). მონაწილეობდა I მსოფლიო ომში (1914–18). 1915–16 მსახურობდა კავკასიის კაზაკთა პირველი დივიზიის შტაბის უფროს ადიუტანტად; 1918-მდე იმყოფებოდა ირანში რუსული ჯარების შემადგენლობაში. 1918-იდან მსახურობდა ქართულ ჯარში, ქართ. კორპუსის მე-2 დივიზიის მეთაურად. 1919 წ. 17 თებერვალს მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება და დაინიშნა საქართვ. დიპლომატიური მისიის სამხ. ატაშედ აზერბაიჯანში. 1919 წ. 15 ივლისიდან მსახურობდა აზერბაიჯანის ჯარში, გენ. შტაბის მთავარი სამმართველოს გენერალ-კვარტირმაისტერად. გენ.-მ-ის წოდება მიანიჭა აზერბაიჯანის რესპ. მთავრობამ „განსაკუთრებული დამსახურებისათვის აზერბაიჯანის რესპუბლიკის წინაშე" (24. III. 1920, №6 ბრძანებულება). 1920 წ. 28 აპრილს წითელი არმიის მიერ აზერბაიჯანის ტერიტ. დაკავების შემდეგ დაინიშნა სპარსეთის საბჭოთა რესპ. არმიის მთავარსარდლად. 1920 ნოემბერში თანამდებობიდან გაათავისუფლეს ს. ორჯონიკიძის პირადი განკარგულებით. 1920 დასასრულიდან ცხოვრობდა ირანში. იყო თეირანის საპატიო მოქალაქე, ორგანიზაცია „თეთრი გიორგის" ერთ-ერთი დამაარსებელი; კ-ის ავტორობით („გურჯი ხანის" ფსევდონიმით) სპარსულ ენაზე გამოიცა მთელი რიგი სამხ. სახელმძღვანელოები. დაჯილდოებულია წმ. ანას, წმ. სტანისლავის, „თამარ მეფის" სხვადასხვა ხარისხის ორდენებით. დაკრძალულია თეირანის რუსულ სასაფლაოზე.

ლიტ.: გ ო გ ი ტ ი ძ ე მ., ბ ე ჟ ი ტ ა შ ვ ი ლ ი გ., სამხედრო ფიცის ერთგულნი, თბ., 2015.